ჩემი ქობულეთი

საქართველოს რეგიონული მედიის ასოციაციის წევრი ყოველკვირეული სახალხო გაზეთი

www.adjaraps.com

№22 (145), 30.09-11.10 ივნისი, 2011 წელი | გამოწერის მეხუთე წელი | ფასი 40 თეთრი

საქართველოვ, ჩემო დედავ, ჩემი სუნთქვა გენაცვალა!..

ქობულეთს ისევ ახალი გამგებელი ჰყავს

მართალია წლევანდელი ნახევრადჩაშლილი საკურორტო სეზონი ისეთი ხმაურიანი არ ყოფილა, როგორც უწინ, მაგრამ ივლის-აგვისტომ მუნიციპალიტეტის გამგეობის ბევრ პასუხისმგებელ პირს მოსვენება ნამდვილად დაუკარგა...

ჯერ იყო და გამგეობის 78 თანამშრომელს სამსახურიდან წასვლაზე მოულოდნელად განცხადებები დააწერინეს და როგორც ითქვა, ყველაფერი სამართალდამცავების მიერ დაკავებული ინფრასტრუქტურის სამსახურის ყოფილი უფროსის **გურამ ვერულიძის** მიერ ქრთამის აღების გამო მოხდა.

გურამ ვერულიძის დაკავების შემდეგ გამგეობაში სიტუაცია აჭარის მთავრობის კომისიამ შეისწავლა. სწორედ ამ კომისიამ მიიღო თანამშრომელთა განთავისუფლების გადაწყვეტილებაც ერთ მშვენიერ დღეს კი გამგეობაში მისულთ აღარც ყოფილი გამგებელი **ასლან ყურშუბაძე** დახვდათ...

როგორც ამბობენ, საკურორტო სეზონისთვის დამთხვეული საკადრო ცვლილებები მძიმედ აისახა ქობულეთის თითქმის ყველა სასიცოცხლო რგოლზე, თუმცა დამსვენებლის ნაკლებობით შეწუხებულ ქობულეთელებს გამგეობის პრობლემებისთვის ნაკლებად სცხელოდათ, სწორედ ამიტომ დატრიალებული კარუსელის შესახებ ბევრს არც არაფერი გაუგია...

გადადგა აჭარის ჯანდაცვის მინისტრი და მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე **ლევან ანთაძეც**, ქობულეთური სცენარის ბათუმური განვითარება ერთმანეთს გაჭრილი ვაშლივით წააგავს და როგორც გამგეობიდან საკუთარი განცხადებით განთავისუფლებულმა ყოფილმა ჩინოვნიკმა გვითხრა, ვარშალომიძემ ანთაძეს თურმე თითიც კი დაუქნია, როცა ქობულეთში დანაშაული ხდებოდა, მე აქ არ ვიყავი, მაგრამ, შენ რას აკეთებდიო...

საბედნიეროდ საკადრო რეპრესიები და ამ რეპრესიებით გამოწვეული რყევები დიდხანს არ გაგრძელებულა და აჭარის მთავრობამ

(დასასრული მე-3 გვერდზე)

ROGORI იქნება „ჩემი ქობულეთის“ მეხუთე სეზონი?!

ჩაიარა ზაფხულის ნახევრადხმაურიანმა დღეებმა, წლევანდელი უღიმღამო საკურორტო სეზონიც გავაცილეთ და... გაზეთი „ჩემი ქობულეთი“ - ორთვიანი პაუზის შემდეგ მეხუთე, საიუბილეო საგამომცემლო სეზონს ხსნის.

როგორი იქნება გაზეთ „ჩემი ქობულეთის“ ახალი საგამომცემლო სეზონი, რას ვპირდებით მკითხველს ახალს და რას შევინარჩუნებთ ოთხი წლის მანძილზე მიღებული გამოცდილებიდან? ეს კითხვა ახლა თითოეული ჩვენი თანამშრომლისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და აქტუალურია.

პირველ რიგში რედაქციამ იზრუნა გაზეთის ვიზუალურ და თემატურ მხარეზე. პერიოდულად „ჩემი ქობულეთის“ ფურცლებზე გაჩნდება ახალი რუბრიკები, მეტი ადგილი დაეთმობა თავად მკითხველის აზრს, სოციალურ თემებსა და პრობლემებს, მაქსიმალურად შევეცდებით გვქონდეს მეტი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ცხოვრებიდან, კომპეტენტურ ადამიანებთან ერთად პასუხები გავცეთ ხშირად გაჩენილ კითხვებს, ბუნებრივია, გაზეთი გვერდს ვერ აუვლის ქვეყნის და რეგიონის პოლიტიკურ ცხოვრებას. გახალისდება გაზეთის ბოლო გვერდიც, შევეცდებით რთული, მაგრამ საინტერესო თემების პარალელურად „დესერტიც“ მივაწოდოთ მკითხველს.

სიახლეა ისიც, რომ თქვენ გეძლევათ საშუალება იხილოთ „ჩემი ქობულეთის“ თემების სატელევიზიო ვარიანტი ჩვენს ვებ.გვერდზე: **adjaraps.com**, ჩვენი ინტერნეტტელევიზიის პირდაპირი ეთერი ხშირად დაეთმობა დიალოგის ფორმატს მუნიციპალიტეტისა თუ კურორტქალაქის განვითარების საკითხებზე. აქვე გაცნობებთ, რომ უცვლელი რჩება გაზეთის ფასი, ტირაჟი და პერიოდულობა, „ჩემი ქობულეთი“ ამიერიდან ყოველ სამშაბათს დარსა თუ ავდარში თქვენი სასურველი სტუმარი იქნება და შეეცდება ყოველდღიური დაძაბული ყოფა ცოტათი მაინც გაგილამაზოთ.

„ჩემი ქობულეთი“

ხუთი მილიონი ქობულეთის კეთილმოწყობისათვის

როგორც გასულ შაბათს „იმედის“ არხზე ნაჩვენებ სპეციალურ რეპორტაჟში საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, ხელისუფლებამ ქობულეთისთვისაც მოიცალა. როგორია ქობულეთის რეაბილიტაციის გეგმა და სამუშაოები, რომლებიც 2012 წლის ტურისტული სეზონის დაწყებამდე უნდა დასრულდეს, პასუხი ამ კითხვაზე ალბათ თითოეულ ქობულეთელს აინტერესებს.

- მალე ქობულეთს განახლებული პარკები, სკვერები და კეთილმოწყობილი ქუჩები ექნება, გე-

(დასასრული მე-2 გვერდზე)

„მდგრადის“ არამდგრადობით დაზარალებული სკოლები

ბრმა უნდა იყო, საჯარო სკოლებისადმი ხელისუფლების განსაკუთრებული ზრუნვა რომ ვერ დაინახო, მაგრამ ზოგჯერ ეს ზრუნვა პილპილმოყრილ მადლად რომ იქცევა, საქმე ხელისჩაქნევამდე მიდის და თითქმის ყველა მსგავს ისტორიაში დაზარალებული ის ფენა გამოდის, ვისთვისაც თითქოს მთელი ძალისხმევა იხარჯება. ასე მოხდა ქალაქის №6 და ჩაქვის №1 საჯარო სკოლების სინამდვილეშიც.

ამ ორი სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე გამოყოფილი საკმაოდ სოლიდური თანხები ტენ-

(დასასრული მე-2 გვერდზე)

RATOM „GADAAGDES“ NIჭIERIS ფინალისტი ქობულეთში?!

ამ ზაფხულს ტელეპროექტ „ნიჭიერის" ფინალისტი სოსო ნარიმანიძე - ქობულეთში რესტორან „ივერიის“ ადმინისტრაციამ 800 ლარში „გადააგდო" და როგორც თავად განაცხადა, რესტორანის ერთ ერთმა მეწილემ ნოდარ შავიშვილმა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფაც მიაყენა. რესტორანი „ივერია" სამწლიანი დუმილის შემდეგ წელს პირველად გაიხსნა, იგი სასტუმრო „ივერიის" ტერიტორიაზე მდებარეობს და მისი მთელი ქონება ბანკი „ქართუს" მიერაა დაყადაღებული, „ივერიის“ მეპატრონე გოჩა ძასოხოვი რამდენიმე წელია საქართველოში აღარ იმყოფება არ-

(დასასრული მე-3 გვერდზე)

IS, RAC ნებადართულია მამაკაცისათვის...

ჩვენს ქვეყანას ერთიან ევროპულ ოჯახში ინტეგრირებაზე სერიოზული პრეტენზიები გააჩნია, ევროპისკენ სწრაფვა კი ბევრი სხვა მნიშვნელოვანი პრობლემის მოგვარების პარალელურად გენდერული ბალანსის მიხედვასაც გვავალდებულებს, ამ მხრივ კი მართლაც ძალიან ბევრი რამ გვაქვს მოსაგვარებელი.

რბილად რომ ვთქვათ, ევროსაბჭო და სხვა ევროპული ავტორიტეტული ორგანიზაციები საქართველოში გენდერული ბალანსის დარღვევის გამო შეშფოთებას გამოთქვამენ. ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე კავკასიის ქვეყნებში და განს

(დასასრული მე-3 გვერდზე)

გაზეთი არის საქართველოს
რეგიონული მედიის ასოციაციის
სრულუფლებიანი წევრი

ჩვენი ქობულეთი

www.adjaraps.com

№22 (145) 2011 წლის 30 სექტემბერი - 11 ოქტომბერი

დაპირებულ სახელმძღვანელოებს ელოდებიან

ქობულეთის ერთ-ერთ მჭიდროდ დასახლებულ სოფელ ალამბარში წლევანდელ სასწავლო წელს სკოლის კარი ორას ოთხმოცდაოთხმა მოსწავლემ შეაღო. მოვლილი, გაწკრიალებული სასწავლო კაბინეტები დახვდათ მათ. მთავარი კი მაინც სახელმძღვანელოა...

როგორც სკოლის დირექტორმა **დალი ნიჟარაძემ** აღნიშნა, VII-XII კლასები ბიბლიოთეკაში შეგროვებული თუ მშობლების მიერ შეძენილი წიგნებით სრულად დაკომპლექტებულია, მაგრამ I-VI კლასელები ნაწილობრივ არიან უზრუნველყოფილნი და სახელმძღვანელოებს მათთვის ველოდებითო. საუბარში აგრეთვე გაირკვა, რომ მოსწავლეებს უფასოდ ემსახურება აჭყვისთავი-ქობულეთის ავტობუსის მძღოლი... ეს მნიშვნელოვანია, რადგან ბავშვები ახლომახლო სოფლებიდანაც დადიან. სკოლაში მოქმედებს გამართული სპორტდარბაზი, ბუფეტი, ბიბლიოთეკა...

წლევანდელ ეროვნულ გამოცდებში 26 მეთორმეტე კლასელიდან ბედი 13-მა სცადა და 12 ჩაირიცხა... პროცენტულად ეს საუკეთესო მაჩვენებელია.

წარმატებით ისწავლება დღეს ასე ფართოდ მიღებული ინგლისური ენა, სკოლის ყველაზე ახალგაზრდა პედაგოგი **მაია რომანაძე** სწორედ ინგლისურის სპეციალისტი ყოფილა.

რაც შეეხება ზამთრის სეზონს, სკოლა დიზელის საწვავზეა დამოკიდებული.

და კიდევ, წლეულს განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭათ სოციალურად დაუცველი ოჯახების შვილებს, ალამბრის სკოლაში ასეთი 34 მოსწავლეა, შეპირების მიუხედავად წიგნები ყველამ ვერ მიიღო...

რაც შეეხება პრეზიდენტის ნებას, დაწყებით კლასში ყველა მოსწავლე აღიჭურვა კომპიუტერით.

ეთერ ჩხაიძე

ყურადღება!

შპს მეზღვაურთა
დასაქმების სააგენტო
ARIES
აცხადებს მეზღვაურთა მიღებას
შემდეგ მაღალანაზღაურებად
თანამდებობებზე:
გემის კაპიტანი
კაპიტნის თანაშემწე
უფროსი მექანიკოსი
მეორე მექანიკოსი
ელექტრომექანიკოსი

დაწვრილებითი
ინფორმაციისათვის მოგვმართეთ
მისამართზე: ბათუმი, ჟორდანიას
ქ.№9; ტელეფონი: 27 96 86;
მობ: 597 96 95 93

WWW.ARIES.GE

ხუთი მილიონი ქობულეთის კეთილმოწყობისათვის

(პირველი გვერდიდან)

გმის მიხედვით ქალაქში ველო-ტრასაც მოეწყობა - ასეთია რეგიონის პირველი პირის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ლევან ვარშალომიძის დაპირებაც.

პროექტის მიხედვით პრიორიტეტები სანაპირო ზოლის გამაგრება - კეთილმოწყობას მიენიჭება, მთავრობის თავმჯდომარის განცხადებით ქობულეთის უმთავრესი პრობლემა სარეკრეაციო ზონების სიმცირეა, მიუხედავად იმისა, რომ აქ ყველაზე დიდი, ათკილომეტრიანი სანაპირო ზოლი გვაქვს, პარკები და სკვერები აბსოლუტურად მოუვლელია ან არ არსებობს, აქ ჩამოსულ ტურისტს სწორედ დასასვენებელი ადგილები სჭირდება, რაც აუცილებლად ქუჩების კეთილმოწყობის პარალელურად უნდა გაკეთდეს.

როგორც აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის უფროსი - **ვაჟა დიასამიძე** აცხადებს, იმან, რომ 2011 წლის საზღვაო სეზონისთვის ქობულეთის ინფრასტრუქტურა მზად არ იყო, გარკვეულწილად შეაფერხა ტურისტებისთვის სრულფასოვანი დასვენების პროცესი, ამიტომ მთელი ქობულეთის ზღვისპირა ზოლის ინფრასტრუქტურული მოწესრიგება აქედანვე უნდა დაიწყოს, რათა იგი მომავალი წლის მაისისთვის ახალ სეზონს მომზადებული შეხვდეს.

საქართველოში ყველაზე გრძელი აღმაშენებლის გამზირი მომავალი საკურორტო სეზონისთვის კიდევ ერთ დატვირთვას შეიძენს, სწორედ ამ ქუჩის მარჯვენა ტროტუარზე მოეწყობა ველოტრასა ველოსპორტის მოყვარულთათვის, ხოლო მარცხენა

ტროტუარი დეკორატიული ფილებით მოპირკეთდება. კეთილმოეწყობა კიდევ რამდენიმე ქუჩაც. გარდა ამისა, დაგეგმილია მიწისქვეშა კომუნიკაციების სარეაბილიტაციო სამუშაოთა დარჩენილი ნაწილის დასრულებაც.

ლევან ვარშალომიძის განცხადებით, ქობულეთი პრიორიტეტად გამოცხადდა და მიმდინარე წლის ბიუჯეტის ცვლილების დროს დამატებით გამოყოფილი თანხები უკვე გაწერილია, დაწყებულია ნაპირგამაგრებითი და ქუჩების, ტროტუარების კეთილმოწყობითი სამუშაოები, 2012 წლის პირველიდან თხუთმეტ მაისამდე კურორტი სეზონის დაწყებისათვის ყოველმხრივ მზად უნდა იყოს.

აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის **ვაჟა ბოლქვაძის** ინფორმაციით, ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ცვლილებები განხორციელდა, რომლის თანახმადაც ქობულეთს დამატებით ხუთმილიონ ნახევარი ლარი გამოეყო, რაც ინფრასტრუქტურული პროექტების ხორცშესხმას მოხმარდება.

ინეზა კეკელიძე

„მდგრადის“ არამდგრადობით დაზარალებული სკოლები

(პირველი გვერდიდან)

დერში გამარჯვებულ ფირმებს გადაეცათ და საქმეც თავის დროზე დიდი ზარზეიმით დაიწყო.

ქალაქის №6 საჯარო სკოლის რემონტი ტენდერში გამარჯვებულმა ფირმა „მონოლითმშენმა“ იკისრა, ხოლო ჩაქვის №1 საჯარო სკოლის საქტო დარბაზის, გასახდელების და ახალი კორპუსის კოსმეტიკურ, ასევე იატაკის ლამინატით დაფარვის სამუშაოებზე ფირმა „მდგრადი“ დასაქმდა.

ამ ორი სკოლის მესვეურთა იმედები მაშინ გაცრუვდა, როცა „მონოლითმშენი“ და „მდგრადი“ იმდენად მდგრადებიი ვეღარ აღმოჩნდნენ, როგორც ტენდერის წინ.

ეტყობა კომპანიების ხელმძღვანელები მათგან ხარისხს ითხოვენ, ტენდერში დაგდებული მარჯა კი ამის საშუალებას არ იძლევა.

რას ნიშნავს ეს?

ასე მაგალითად, ჩაქვის №1 საჯარო სკოლის ახლადაშენებული სააქტო დარბაზის და გასახდელების კოსმეტიკისა და იატაკის ლამინატით დაფარვისთვის სახელმწიფომ სატენდერო თანხად 295 ათასი ლარი გამოაცხადა, ელექტრონულ ვაჭრობაში კი ფირმა „მდგრადმა“ არ ვიცით ვისი იმედით, მაგრამ ეს ნიშნული 116 ათასი ლარით შეამცირა, თანხის სიმცირით მოხიბლულმა სახელმწიფომაც გამარჯვება „მდგრადს“ გადასცა და ეს უკანასკნელიც სამუშაოს შეუდგა. მალე ჭირმა თავი არ დამალა და აღნიშნული სამუშაოების შესასრულებლად „მდგრადის“ მიერ მოთხოვნილი 179 ათასი ლარი სრულიად არასაკმარისი აღმოჩნდა, ფირმის მდგრადობამაც მალე რყევა დაიწყო და ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების ჩატარება შეუძლებელი გახდა. ამას კიდევ ერთი უბედურებაც დაემატა, ძველ საქმეებში ჩვენთვის გაურკვეველი დარღვევების გამო „მდგრადის“ ხელმძღვანელი დააპატიმრეს და ფირმის რყევის ამპლიტუდა ამით კიდევ უფრო გაორმაგდა. ამჟამად ჩაქვის №1 საჯარო სკოლის ახალ შენობაში ისევ ფირმა „მდგრადი“ მუშაობს, ოღონდ უკვე სანქცირებული, რადგან იგი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ჯარიმის სახით გარკვეულ გასამრჯელოს უხდის სახელმწიფოს.

როგორც სკოლის დირექტორმა **ტარიელ ქათამაძემ** ჩვენთან საუბარში განაცხადა, იმის გამო, რომ

მწარმოებელმა ნაკისრი ვალდებულება ვერ შეასრულა, პირველ რიგში სკოლა და ბავშვები დაზარალდნენ, მათ დღემდე სამ ცვლაში უხდებათ მუშაობა. ბატონი ტარიელის აზრით, ტენდერში გამარჯვებულ კომპანიას სამუშაოების დროულად შეუსრულებლობის შემთხვევაში არა მარტო პირგასამტეხლო, არამედ ზიანის ანაზღაურებაც უნდა დაეკისროს, რაც თავიდანვე ხელშეკრულებაში უნდა იყოს ჩადებული.

ანალოგიური პრობლემების წინაშე აღმოჩნდნენ ქობულეთის №6 და ბათუმის №4 საჯარო სკოლებიც, სადაც სარემონტო სამუშაოებს კომპანია „მონოლითმშენი“ ატარებდა. კომპანიის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო ამ ორ სკოლაში წელს ახალი სასწავლო წლის მაუწყებელი ზარი არ დარეკილა. ქალაქის მეექვსე საჯარო სკოლელები პირველი საჯარო სკოლის ხიზნებად იქცნენ და მთლიანად მეორე ცვლაში უხდებათ მუშაობა.

როგორც სკოლის დირექტორმა **ნატო შამილიშვილმა** გვითხრა, მშენებლებისგან უმკაცრესად ითხოვს ხარისხიან შესრულებას, რადგან რემონტზე საკმაოდ სოლიდური თანხები იხარჯება და რაც კეთდება, ხარისხიანად უნდა გაკეთდეს. რაც შეეხება კომპანიის მიერ აღებული ვალდებულების შეუსრულებლობას, დირექტორის აზრით, ამით პირველ რიგში ბავშვები დაზარალდნენ, პროცესი გაიწელა და ახლა „მონოლითმშენი“ ახალმა ფირმამ „უნივერსალმა“ ჩაანაცვლა, სამუშაოები კი სავარაუდოდ ნოემბრის ბოლოსთვის უნდა დასრულდეს.

ნინო მეგრელიძე

რეპორტიორი ქალაქში

მე რომ ქობულეთის გამგებელი ვიყო!..

მსგავს კითხვებს „ჩემი ქობულეთი“ - გაზეთის ყოველ ნომერში დასვამს და მოგაწვდით ქობულეთელების აზრს ამა თუ იმ საინტერესო და საჭირბოროტო საკითხთან დაკავშირებით.

მკითხველს კი საშუალებას ვაძლევთ ჩაერთოს სმს - ფორუმში და მომდევნო ნომრისთვის ტელეფონზე: 551 97 97 00 მოკლე ტექსტური შეტყობინებით გაგვიზიაროს თავისი აზრი.

მინდია თამაზაშვილი:

- პირველ რიგში, ხალხის რისხვა რომ ავიცილო, მივხედავდი გზებს. ქობულეთი ძალიან მოუწესრიგებელია, ამიტომ მივხედავდი პარკს და მთლიანად ქუჩებს.

იაშა მახარაძე:

- ქობულეთს ჰყავს ბრწყინვალე გამგებელი გელა ცხომელიძის სახით, რომელიც ყველა საქმეში გვერდით გვიდგას. რაც შეეხება სოფლებს, სასმელი წყლის პრობლემას მოვაგვარებდი.

ინგა თავართქილაძე:

- ქობულეთს განსაკუთრებულად მივხედავდი, რაც მთავარია, ახალგაზრდებს დავასაქმებდი.

ეკა გოგმაჩაძე:

- გზებს გავაკეთებდი, ქუჩებს გავალამაზებდი და რაც მთავარ-

დასასრული მე-3 გვერდზე

ჩ ე ნ ი ქ ობ ულ ე თ ი

№22 (145) 2011 წლის 30 სექტემბერი - 11 ოქტომბერი www.adjaraps.com

გაზეთი არის საქართველოს რეგიონული მედიის ასოციაციის სრულუფლებიანი წევრი

რეპორტიორი ქალაქში

მე რომ ქობულეთის გამგებელი ვიყო!..

მე-2 გვერდიდან

ია, რაიონში კულტურის განვითარებას მივხედავდი.

გიორგი ხინიკაძე:

- მე რომ ქობულეთის გამგებელი ვიყო, სახალხო დღესასწაულ „ქობულეთობას“ ისეთ დროს დავნიშნავდი, როცა ხალხს ამისთვის ეცლება. ვფიქრობ, ზეიმმა დამსვენებლები უნდა მოიზიდოს და ადგილობრივ მოსახლეობას სარგებელი მოუტანოს.

თამრიკო გაბინაშვილი:

- კეთილმოვაწყობდი ქალაქს. ჩემი აზრით, დღევანდელი გამგებელი შეძლებს იმას, რაც ამდენი ხნის განმავლობაში არ გაკეთებულა ქობულეთში.

ნინო ბეჟანიძე:

- ქალაქს დავამშვენებდი, რადგან ეს ტურისტების სიმრავლეს განაპირობებს. რაც შეეხება სოფლებს, ვიზრუნებდი სოფლის მეურნეობაზე, მეცხოველეობის, მეციტრუსეობის განვითარებაზე.

რეზო ტაკიძე:

- ვინაიდან ქვეყნის მომავალი სულიერებისა და კულტურის აღმშენებლობასთანაა დაკავშირებული, განსაკუთრებულად ინვესტიციას ამ სფეროში დავბანდებდი.

ხვიჩა კონცელიძე, თამთა ღაღაიშვილი

ქობულეთს ისევ ახალი გამგებელი ჰყავს

(პირველი გვერდიდან)

ქობულეთს მართლაც საიმედო პატრონი მოუვლინა, 31 აგვისტოს მუნიციპალიტეტის გამგებლის თანამდებობაზე **ლევან ვარშალომიძემ** აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის ყოფილი ხელმძღვანელი **გელა ცხომელიძე** წარადგინა.

საკრებულოს სხდომის შემდეგ, აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ქობულეთის საკრებულოსა და გამგეობის წევრებს შეხვდა, მისი განცხადებით, ახალ გამგებელთან ერთად დაუყოვნებლივ დაიწყება მომავალი ტურისტული სეზონისთვის მზადება.

ლევან ვარშალომიძე მუნიციპალიტეტის თემების რწმუნებულებსაც გაესაუბრა და აღნიშნა, რომ „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში მუნიციპალიტეტში ბევრი რამ გაკეთდა. წყლის პრობლემა თითქმის მთლიანად მოგვარდა, ყველა თემში რემონტდება რეზერვუარები და შენდება რამდენიმე ახალი წყალსაცავი. მალე ქ. ქობულეთში ქუჩების რებილიტაცია დაიწყება. იგეგმება ახალი საჯარო სკოლისა და ბაღების მშენებლობაც.

იმავე დღესვე, ქობულეთის გამგებლის მოადგილედ სპორტისა და ახლაგაზრდულ საქმეთა დეპატამენტის ყოფილი ხელმძღვანელი რევაზ ხარაზი დაინიშნა.

სერიოზული ცვლილებები მოხდა აჭარის მთავრობაშიც. საკადრო გადაადგილებები პრაქტიკულად ყველა სამინისტროს შეეხო. აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილედ დაინიშნა **ფირან კალანდაძე**. იგი თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის უროლოგიის დეპარტამენტისა და ღუდუშაურის ეროვნული სამედიცინო ცენტრის თანამშრომელი იყო. ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის მოადგილედ დაინიშნა **თემურ გაბაიძე,** რომელიც განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი გახლდათ. სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილედ - აჭარის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს უფროსი **ირაკლი მოდებაძე**. მისი თანამდებობა აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს იურიდიული დეპატრამენტის უფროსმა **ოლეგ ბოლქვაძემ** დაიკავა. ამავე სამმართველოს უფროსის მოადგილედ დაინიშნა **კობა ზაქარაია**, რომელიც აჭარის მთავრობის აპარატის ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა. ამ დეპარტამენტის ხელმძღვანელი ქობულეთის ყოფილი გამგებელი **ასლან ყურშუბაძე** გახდა.

ჯემალ მეგრელიძე

ვინ „გადაბაგდო“ ნიჭიერის ფინალისტი ქობულეთში?!

(პირველი გვერდიდან)

აერთგზის დააკავეს ძასოხოვის პარტნიორი **თენგიზ შავიშვილიც.** მათ მიერ ქობულეთში დიდი ზარზეიმით გახსნილ და მალევე დახურულ საკონსერვო ქარხანასთან დაკავშირებითაც მრავალი მითქმა-მოთქმა არსებობს, რაშიც ხშირად ჟღერს ნარიმანიძის მიერ ხსენებული **ნოდარ შავიშვილის** სახელი, თუმცა მისით ძალოვანი სტრუქტურები დღემდე არ დაინტერესებულან...

როგორც ნარიმანიძემ ჩვენთან საუბარში განაცხადა, **ნ. შავიშვილმა** იგი სოფელ ერგეში რესტორან „თამარის სამეფოში" გაიცნო, სადაც მომღერლად მუშაობდა და დღიურ 50 ლარს იღებდა, გარდა ამისა, რესტორნის ადმინისტრაცია უფარავდა ბინის, კვებისა და სიგარეტის ხარჯებს, მას შავიშვილმა იგივე პირობების შენარჩუნება და ორმაგი ანაზღაურება შესთავაზა და თავის რესტორანში მუშაობაზე დაიყოლია, თანაც დაჰპირდა, რომ ბინის ფულს თავის თავზე აიღებდა, მოლაპარაკების თანახმად შავიშვილს ბინის ხარჯებისთვის დღეში 30 ლარი უნდა გაეღო.

- 25 დღე ვიმუშავე რესტორან „ივერიაში", რომ იტყვიან, ეს ობიექტი წუმპედან ამოვიყვანე, ჩემს იქ მისვლამდე დარბაზი ცარიელი იყო, როცა სიმღერა დავიწყე, ყოველდღე ათასობით ლარს ვაჭრობდნენ... მე ნოდარ შავიშვილისთვის არ დამიცდია, სასტუმროს ფულს ჩემი ხელფასიდან ვიხდიდი იმ იმედით, რომ ადრე თუ გვიან ამინაზღაურებდნენ და ვალში არ დარჩებოდნენ, მაგრამ როცა მას ეს თანხა მოვთხოვე, მითხრა: მხოლოდ სამი დღის ბინის თანხას აგინაზღაურებო, დანარჩენი 500 ლარის გადახდაზე უარი თქვა, ამასთან არც სამი დღის ხელფასი გადამიხადა, სიტყვიერ შეურაცხყოფაზე გადავიდა და ხელი მიმკრა - განაცხადა ჩვენთან საუბარში **სოსო ნარიმანიძემ.**

ამ ფაქტის ამსახველი მასალების გაზეთ „აჭარა P.S.“- სა და ჩვენს ინტერნეტსაიტზე გავრცელების შემდეგ რესტორან „ივერიის“ ადმინისტრაციამ რედაქციიდან მასალის გათხოვნის სანაცვლოდ ნარიმანიძეს კუთვნილი თანხა აუნაზღაურა და რამდენიმე სიმღერაც ამღერა ილუზიის შესაქმნელად, რომ მათ შორის თითქოს არაფერი მომხდარა, თუმცა მრავლისმთქმელი ვიდეო-ინტერვიუ ჩვენს საიტზე უკვე მსოფლიომ ნახა და ამ სირცხვილს „ივერია“ ვერასდროს ჩამოირეცხავს.

სულხან მესხიძე

ის, რაც ნებადართულია მამაკაცისათვის აკრძალულია ქალისთვის!..

(პირველი გვერდიდან)

აკუთრებით საქართველოში, გენდერული ბალანსის დარღვევის თაობაზე „ადამიანის თანაბარ შესაძლებლობათა უზრუნველყოფის“ კომიტეტის მოხსენებაში ხაზგასმითაა მინიშნებული, რომ „საქართველოში, აზერბაიჯანში, სომხეთსა და ალბანეთში მშობლები ოჯახების დაგეგმვისას უპირატესობას მამრობითი სქესის შვილებს ანიჭებენ. არჩევანი ჯერ კიდევ ბავშვის დაბადებამდე კეთდება, რაც საზოგადოების ოპტიმალურ განვითარებას აფერხებს“. რამდენადაც არ უნდა გაგვიკვირდეს, რუსთაველის და ზოგადად ქრისტიანული ტრადიციების მქონე ქვეყანა ამგვარ ჩამონათვალში აღმოვჩნდით. საქმე იმაში გახლავთ, რომ ისტორიული კატაკლიზმებისა და სხვა ქვეყნის, სხვა სარწმუნოებებისა და ტრადიციების აღრევის, მათთან ერთად თანაცხოვრების ნებით თუ უნებლიედ თავსმოხვეული წესების დამკვიდრების შედეგად ძალზე სავალალო სიტუაცია მივიღეთ, რამაც განვითარებული და დემოკრატიული სამოქალაქო საზოგადოების მქონე ევროპის თვალში ერთობ არამდგრადი გენდერული ბალანსის მქონე ქვეყნის იმიჯი შეგვიქმნა.

ამჟამად არ შევეხებით გენდერული ბალანსის დარღვევათა ზოგად საკითხებს, ამაზე ბევრი იწერება და ფართო მსჯელობაც მიდის, ჩვენი მიზანია შეძლებისდაგვარად წარმოვაჩინოთ ის სპეციფიკური საკითხები, პრობლემები და დამკვიდრებული მიმართულებები, რომლებიც აჭარაში არსებობს, ვეცდებით მათი წარმოშობის მიზეზებსაც შევეხოთ, რადგანაც ჩვენი აზრით, სწორედ ეს მომენტები განაპირობებს რეგიონში გენდერული ბალანსის ესოდენ თვალშისაცემ დარღვევას, პრინციპში, ეს პრობლემები მეტ-ნაკლებად დასავლეთ საქართველოსაც აწუხებს და მათი ხელმოსმით აღმოფხვრა რთულია, თუმცა საჭიროა დროულად დაიწყოს მუშაობა განსაკუთრებით მომავალ თაობებთან, რათა ამ ტრადიციადქცეული სენისგან საზოგადოება რაც შეიძლება მალე განთავისუფლდეს.

ევროპელი სოციოლოგების დასკვნით, საზოგადოების ნორმალური განვითარებისთვის 105 მამრობითი სქესის ბავშვზე 100 გოგონა უნდა მოდიოდეს. საქართველოში ეს სტანდარტი დარღვეულია და იგი ვაჟების სასარგებლოდ 111/100-ზეა. მოხსენებაში ისიცაა ნათქვამი, რომ სქესის შერჩევა

მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში უნდა დავუშვათ, როცა საქმე გენეტიკურ დაავადებებს ეხება. მამრობით სქესზე არჩევანის გაკეთება - სწორედ ჩვენებური გენდერული უსამართლობის შედეგია. ხშირია შემთხვევა, როცა ბავშვის გაჩენისას მშობლების არჩევანი თითქმის ყოველთვის ბიჭის სასარგებლოდ კეთდება. ამით გენდერული უთანასწორობის მქონე კულტურებში, სადაც ჯერ კიდევ მძლავრობს ტრადიციული დოგმები, იქმნება ისეთი გარემო, სადაც პროცესების განვითარება თავისთავად ქალთან მიმართებაში ძალადობის გაძლიერების პირობებს ქმნის. როგორც ჩანს, ჩვენთან, აჭარაში, საჭიროა უფრო საფუძვლიანად მოხდეს ამ მხრივ არსებული მდგომარეობის მიზეზების გამოძიება და ხელისუფლებამ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა როლის ამაღლებაზე უფრო მეტად იზრუნოს. პარალელურად ამ პრობლემებთან შესაჭიდებლად უნდა მომზადდეს მედპერსონალიც.

ჩვენი დაკვირვებით აჭარაში ამ მხრივ არაერთგვაროვანი სიტუაციაა. კერძოდ, ძალზე განსხვავებული მდგომარეობაა ქალაქში და მითუმეტეს მაღალმთიან აჭარაში. თუ მაღალმთიან ზონაში ეს პრობლემები ბუნებრივ ჭრილში მოიაზრება, ქალაქებში, ბათუმსა და ქობულეთში, სადაც მოსახლეობის დიდ ნაწილს უფრო კომფორტულ გარემოში უხდება ცხოვრება, შედარებით სხვა სურათი იკვეთება. ახალი ტექნოლოგიების განვითარებამ მშობლებს მისცა შესაძლებლობა ადრევე გაიგონ ბავშვის სქესი და არასასურველი შედეგის შემთხვევაში შეწყვიტონ ორსულობა, რაც სავარაუდოდ კეთდება კიდეც. გვაქვს ინფორმაცია, რომ ეს ძირითადად მაშინ ხდება, თუ მომავალი ბავშვი მდედრობითი სქესისაა. აქ მნიშვნელოვან როლს ასრულებს საზოგადოებაში საუკუნეების მანძილზე გამჯდარი მოსაზრება, რომ მხოლოდ ვაჟია გვარის გამგრძელებელი და ოჯახის ფუძის შემნარჩუნებელი. განა შეგვიძლია გვერდი ავუაროთ იმას, რომ აჭარაში ვაჟის ერთგვარი კულტია, თანაც გამოკითხვამაც დაადასტურა, რომ მამაკაცთა უმრავლესობას ბიჭი სურს, თუმცა ქალები პირიქით, გოგონებს ამჯობინებენ. ფაქტია ისიც, რომ არჩევანის გაკეთებაში აშკარა უპირატესობას მამაკაცები ფლობენ და ჩვენში სწორედ მათი აზრია გადამწყვეტი. უდავოა, რომ აჭარაში არსებული ლამის კატასტროფული დისბალანსის საფუძველი და საბოლოო ჯამში დემოგრაფიული კატასტროფის ნამდვილი მიზეზები ე.წ. შეხედულებათა სისტემაში უნდა ვეძიოთ.

როცა აჭარაში გენდერული ბალანსის დარღვევაზე, გენდერულ ძალადობაზე და მის შედეგებზე ვსაუბრობთ, გვერდს ვერ ავუვლით დედამთილების პრობლემას. ვერ დავფარავთ იმ ფაქტს, რომ აჭარაში და არამარტო აჭარაში, ხშირად დედამთილები ნამდვილ დიქტატორებად გვევლინებიან. განა ცოტა გვსმენია რძალ - დედამთილის ურთიერთობებზე. ყველაფერი ხომ ჩვენს თვალწინ ხდება და შევეჩვიეთ კიდეც, რომ დედამთილის „მოსაწონი“ რძალი იშვიათობაა. უფრო მეტიც, ბევრ ტრადიციულ ოჯახში „პარადი“ დედამთილებს მიჰყავთ და ამ დროს თითქმის ვერავინ „ამჩნევს“, რომ მის თვალწინ ახალგაზრდა ქალი ლამის უუფლებო სუბიექტადაა გადაქცეული. ჩვენთან ოჯახების უმრავლესობა ტრადიციულად „თაობათა ერთიანობით“ ცხოვრობს, ამიტომაც მათი სტრუქტურის ძირითად მახასიათებლად კვლავ რჩება ახალგაზრდა წყვილთან ერთ ჭერქვეშ მცხოვრები დედამთილი. დიდი დაკვირვება არ სჭირდება იმას, რომ ასეთ ოჯახებში რძლებისთვის ქმართან კონფლიქტების, უსიამოვნებების და თუნდაც განქორწინების მიზეზი სწორედ დედამთილის ფაქტორია.

ქართველი ქალი მოსამსახურე თუ უმუშევარი, რომელიც თანამედროვე პატრიარქალურ საზოგადოებაში უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში იმყოფება, ხშირად ვერც კი აცნობიერებს თუ როგორ უკეთებს საკუთარ თავს თვითიზოლიაციას და შესაბამისად იხშობს რეალიზაციის ისედაც მწირ

(დასასრული მე-4 გვერდზე)

სარეკლამო სამსახური: 551 55 30 55 ცხელი ხაზი: 26 24 0 4

ის, რაც ნებადართულია მამაკაცისათვის აკრძალულია ქალისთვის!..

(დასასრული)

საშუალებებს. ამჟამად არაფერს ვამბობთ იმაზე, რომ ჩვენებური ქალი, რომელმაც საშუალო ასაკს მიაღწია და ცხოვრების წესით ტრადიციული დოგმების ჩარჩოებშია ჩაკეტილი, ვერაფრით დაემსგავსება იმ ევროპელ ქალს, რომელიც თუ უქმროდ რჩება, სურვილის შემთხვევაში იჩენს „ბოიფრენდს“ და ამას არავინ უთვლის მანკიერებად. იგი თავისი ცხოვრებითაა დაკავებული და რძლისთვის ნაკლებად იცლის. დღეს რომ ჩვენს ქალებს უთხრა ასე სჯობსო, მერწმუნეთ, ან არანორმალურად ჩაგთვლიან ან ავანტიურისტად, ამიტომაც ქართველებს მაინცდამაინც კარგად ვერ ან არ გამოგვდის ევროპელობა.

საქართველოში და განსაკუთრებით აჭარაში გენდერული ბალანსის დარღვევაზე უარყოფით გავლენას ახდენს გოგონების ნაადრევი და ხშირ შემთხვევაში გარიგებით გათხოვება. ამას ადრე თურქთა ბატონობის სამასწლიანმა მძიმე პერიოდმა შეუწყო ხელი და ამ გამოვლინებამ სოციალური სიმახინჯის სახეც მიიღო. ბოლო დროს იმატა სკოლის მოსწავლე გოგონათა ქორწინებებმაც. თუ როგორ სწავლობენ და რა პერსპექტივები აქვთ X-XI კლასელ ფეხმძიმე გოგონებს, ეს სხვა საკითხია, ძირითადად ისინი გადიან სკოლიდან და ამით სამომავლო წინსვლის, საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართვის პერსპექტივას იხშობენ. როგორც ჩანს ყველაფერი ეს კვლავ საინფორმაციო ვაკუუმის, მედიასაშუალებებში, განსაკუთრებით კი ტელევიზიებსა და ყვითელ პრესაში მომრავლებული, ლიბერალურად გასაღებული საეჭვო ფასეულობების პროპაგანდის შედეგი უნდა იყოს. თუმცა არის სხვა სერიოზული მიზეზებიც, რომელთა ფესვები ისეა გადგმული საზოგადოებრივ ცნობიერებაში, რომ მის აღმოფხვრას საკმაოდ დიდი დრო დასჭირდება.

სამწუხაროდ, ჩვენს შორის ისევ არიან შემორჩენილნი ისეთი აზროვნების ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ, რომ ის, რაც ნებადართულია მამაკაცისთვის, აკრძალულია ქალისთვის... მართალია ბოლო წლებში ამ მხრივ საზოგადოების მიდგომები რადიკალურად იცვლება, მაგრამ ვფიქრობთ, მაინც მეტი მუშაობაა საჭირო.

დღეს, საზოგადოებაში ძირითადად ორ უკიდურესობასთან გვაქვს საქმე: პირველი, როცა ოჯახში მამაკაცია შემომტანი და იქ ქალს ყოველგვარი უფლება წართმეული აქვს და მეორე, როცა ქალების უმრავლესობის მხრებზეა გადასული ოჯახის რჩენა, ფულის შოვნა და პასუხისმგებლობა, ხოლო მამაკაცები მხოლოდ დროის უვარგისობაზე წუწუნით არიან დაკავებულები. ასეთ ოჯახებში დიდია კონფლიქტებისა და უსიამოვნო ურთიერთობების რისკი, რადგან ისინი, ვინც ოჯახის ბიუჯეტს ქმნიან, სახლში სარჩო მიაქვთ და პრაქტიკულად ყველა საოჯახო საქმეც თავის თავზე აქვთ აღებული, ყოველთვის დიდგულობენ ოჯახის დანარჩენ წევრებზე. აქედან გამომდინარე, გაცილებით მყარია ოჯახი, სადაც ცოლ-ქმარს საკუთარი უფლება-მოვალეობები თანაბრად აქვთ შეთავსებული და კონკრეტული საკითხის გადაწყვეტის მომენტში პასუხისმგებლობასაც თანაბრად ინაწილებენ. ვფიქრობთ ძალიან მდაბიო, პროვინციული გადმონაშთია ის ფაქტები, როცა რაიმე კონკრეტული გადაწყვეტილების მიღების მომენტში მამაკაცების სიტყვას (თუნდაც მცდარს) გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ამ დროს კი ქალს არა თუ ხმის ამოღების, „მოლაპარაკების მაგიდასთან“ მიახლოების უფლებაც კი ჩამორთმეული აქვს.

ჩვენ ვსვამთ კითხვებს და ვეძებთ პასუხებს, რა შავდება, როცა ქალს ვხედავთ საჭესთან, საპასუხისმგებლო თანამდებობაზე ან რომელიმე მსხვილი კომპანიის მმართველის ამპლუაში?! აკი არაერთხელ ხაზგასმით დადასტურებულა ე.წ. სუსტი სქესის წარმომადგენელთა ძლიერება, ამტანობა და გონიერება ნებისმიერ კრიტიკულ დროსა და სიტუაციაში.

R ნუგზარ ჟორდანია

მასალა მომზადებულია ფონდი „ქალთა ფონდი საქართველოში“ ფინანსური მხარდაჭერით.

მათ ყველაზე მეტად უჭირთ ცხოვრება

ეახლი ქველმოქმედი!

ჩაერთე ხანდაზმულთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ საქველმოქმედო ჯონცერტ-მარათონში 1 ოქტომბერს, 16 საათიდან - ჯინოთეატრ „ქობულეთში“!

ვჯეოსელისა და ბილაინის აბონენტებმა დარეკეთ ნომერზე 700-539 და თქვენს მიერ შემოწირული 1 ლარი მოხმარდება მარტოხელა, უმწეო მოხუცთათვის პროდუქტებისა და მედიკამენტების შეძენას

ხანდაზმულ ქალთა ასოციაცია „ღირსეული სიბერე“

გეპატიჟებათ „ბიგ-ბენი“

გთავაზობთ ტორტებისა და ნამცხვრების ფართო არჩევანს, ვიღებთ შეკვეთებს სადღესასწაულო ტკბილეულზე. მაღაზია მოგემსახურებათ პროდუქციის ბინაზე მიტანითაც.

ჩვენ გთავაზობთ მაღალ ხარისხს და ხელსაყრელ ფასებს!

დაგვიკავშირდით 24 საათის განმავლობაში:

558 97 44 00
599 97 44 00
8 426 22 48 95

ჩაქვის №1 საჯარო სკოლის დირექცია და პედკოლექტივი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს სკოლის კურსდამთავრებულის

მერი ზოიძის

ტრაგიკული დაღუპვის გამო და თანაუგრძნობს ოჯახს.

სულიკო (სოლომონ) უსტალიშვილი

ჩვენო დიდებულო, დარბაისელო, ყველასათვის საყვარელო კაცო, ჩვენი ოჯახის პირველო მძახალო, უსაყვარლესო მოყვარე! მოულოდნელად წახვედით, მოურჩენელმა სენმა დაგრია ხელი. რა არ ვიღონეთ, მაგრამ ამაოდ. სამუდამო სასუფეველში დაიდეთ ბინა, თქვენს საყვარელ, მონატრებულ დედიკოსთან, თქვენს ნათესავებთან. უნაკლო, განუმეორებელი პიროვნება, ეტალონი, სიმპატიური,სიკეთით,სათნოებით სავსე. უაღრესად კეთილშობილი, შრომისმოყვარე. ყველგან, სადაც იმსახურეთ, ავტორიტეტით სარგებლობდით. იყავი კარგი მეუღლე, კარგი მამა, მამამთილი, ღირსეული, გაწონასწორებული კაცი, ნამდვილად იყავით ინტელექტუალური, სიტყვისა და საქმის კაცი.

მსუბუქი ყოფილიყოს თქვენს გულზე დაყრილი მშობლიური მიწა.

როგორ მოგვენატრები, როგორ დაგვაკლდები. ღმერთმა გაანათლოს თქვენი სული.

ნინა და დავით მემარნეების ოჯახი

ომარ ასლანიძე

ჩემო ომარ 2 ოქტომბერს 30 წელი შეგისრულდებოდა, რომ არა აგვისტოს ომი. ომი, რომელმაც მოითხოვა მსხვერპლი და ამ მსხვერპლის ნაწილი აღმოჩნდი შენც. გული გვწყდება, რომ გვერდით აღარ გვყავხარ, მაგრამ ამაყები ვართ იმით, რომ გმირულად დაეცი ბრძოლის ველზე შენი სათაყვანებელი სამშობლოს ერთიანობისათვის ბრძოლაში... ადგილობრივი ხელისუფლება შენს გმირობას უყურადღებოდ არ ტოვებს, როგორც ომში დაღუპულის ოჯახს მზრუნველობას არ გვაკლებს, რისთვისაც კიდევ ერთხელ მინდა მადლობა გადავუხადო მათ.

შენ, ჩემო შვილო, გიყვარდა ახალგაზრდები, მათი ფიზიკური მომზადება, ესეც გაითვალისწინა ჩვენმა სკოლამ (დირექტორი მიხეილ ხალვაში), ადგილობრივმა ხელისუფლებამ და ჯიხანჯურის საჯარო სკოლას შენი სახელი მიენიჭა, რაც ჩემთვის დიდი სიამაყეა.

ახლა შენს გარეშე აგიღნიშნავთ 30 წლის იუბილეს და ვევედრებით ღმერთს, რომ ბოლო ყოფილიყავი ქვეყნის მომავლისათვის ზვარაკად შეწირული... ღმერთმა დაგლოცოს და მოგცეს ნათელი.

2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული ომარ ასლანიძის მამა ლეო ასლანიძე მთელი ოჯახი

ჯუმბერ ოქროპირიძე



ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენს გვერდით აღარ ხარ ჩვენო ძვირფასო, კეთილო და ერთგულო ძმაო, ჯუმბერ!

დაგვაკლდა შენი სითბო და სიყვარული, ღიმილიანი სახე, წარსულში ლამაზ მოგონებად დარჩა ის დღეები, როცა ერთად ვიყავით და ერთმანეთს სიკეთესა და სიყვარულს ვუნაწილებდით.

შენს ლამაზ ოჯახს, მეუღლეს, შვილებსა და ერთადერთ შვილიშვილს უღიდესი ტკივილი დაუტოვე, ვცდილობთ გვერდით დგომით შევუმსუბუქოთ მათ დარდი და ნაღველი, მაგრამ შენი დავიწყება შეუძლებელია...

ღმერთმა სამუდამო სასუფეველში ნათელი დაგიმკვიდროს ჩვენო ძვირფასო ძმაო და მეგობარო!

იმედო ქათამაძე, კოკი შავიშვილი.

ტკივილიანმა წელიწადმა გაიხურა კარი ჩვენო ჯუმბერ... აღარ გვესმის შენი ლამაზი ხმა, შენს დებს დაგვაკლდა მოსიყვარულე ძმა, ხოლო შენმა დიშვილებმა მზრუნველი და ერთგული ბიძა დაჰკარგეს შენი სახით...

ძალიან გვიმძიმს უშენობა ჩვენო ძვირფასო და უსაყვარლესო ადამიანო, მაგრამ ვაგლახ, რომ უძლურნი ვართ ღვთისა და ბუნების კანონების წინაშე. ჩვენ მხოლოდ ის შეგვიძლია, რომ ვილოცოთ შენი ლამაზი, სპეტაკი სულისთვის და ვთხოვოთ უფალს, რათა სამუდამო სასუფეველი დაგიმკვიდროს და შენს მიერ არჩეულ გზაზე ნათელი დაგიფინოს.

დები და დისშვილები

განცხადებები

ვამზადებ აბიტურიენტებს ქართულ ენასა და ლიტერატურაში. მსურველები დამიკავშირდნენ ტელეფონზე: 599 542 268

ქორეოგრაფიული ანსამბლი „ამირანი“ იწვევს სასკოლო ასაკის ბავშვებს ქართული ხალხური ცეკვის შემსწავლელ ჯგუფში. მის: ქობულეთის №2 საჯარო სკოლა. ქორეოგრაფები ამირან ინაიშვილი, რამაზ ჩიხლაძე.

დაკარგულია მადონა გივის ასული გორგილაძის კუთვნილი დიპლომი, მპოვნელს გთხოვთ დამიკავშირდეთ ნომერზე: 593 56 65 72 მპოვნელი დასაჩუქრდება.

ჭაშნიკი

ნონა ღვინჯილია - ოძელაშვილი

ვუძღვნი №6 საჯარო სკოლის ჩემს ყოფილ პედაგოგებს

შეგთხოვ, უფალო!

შენი მადლის შუქს ვხედავ, უფალო,
ბევრჯერ გამხადე წყალობის ღირსი,
არ ჩაუვლია ლოცვას უკვალოდ,
ერთგვარად მტკივა ჩემი და სხვისი.
მაცდურმა მაინც მომიკლა გული,
და ვფიქრობ, ვფიქრობ რატომ? ან რისთვის?
უბედურებას წილხვედრად არჩევს,
რომ გაიმეტოს ზნე და ადათი.
ცდილობს მომკერძოს ტანჯვა და ურვა
მეც ჯოჯოხეთში დამიდოს ბინა
უბედურების მორევში ცურავს
ბედნიერი რომ მეგონა ვიღაც.
გვედრი, უფალო! მწყალობდე კვლავაც
მადლს და შენდობას მორჩილად ველი...
მზე ნათელს გფენდეს შენი გზით მავალს,
რამეთუ ჩემი მზეც ხარ და მცველიც.
უფალო გთხოვ ნუ დამტოვებ მარტო,
მე მინდა ვიყო მხევალი შენი,
ეკლესიაში გალობა მატკბობს
შემსუბუქებულ ცოდვების ჩენით.

სენტენცია

ზოგი ბედნიერია, ზოგიც უბედური,
ასეთია ცხოვრება, ლაღი და ბედკრული.

ლოცვა

გაიხარეთ ღვთის მადლით,
წყალობით მისით, ყოფილიყავთ იმედით
კურთხევის ღირსნი!

თუკი იქ დადგება

ქარები ჩადგება,
სიმშვიდე აღსდგება,
ბუნება გათბება,
აპრილი დადგება ისევ...
ვიღაცა წარსწყმდება,
ვიღაცა აღსდგება,
თუკი იქ დადგება
სული, რომ ნათლდება მზისებრ.

შეხვედრისას

შენი სიყვარულით მე გული გავტანჯე,
შენი მდუმარებით ოცნებაც ჩავახშე...
ოი, ვერ გაგიმხელ სამდურავს დანარჩენს,
რად გადამიმწირდა სასთვლე და საბახჩე.
შენთან შეხვედრისას დავხარე თვალები
ცრემლიც კი დაასხდა მძივებად წამწამებს...
რადგანაც შესძლებდი ფიქრთშენამკრთალები,
იმ გრძნობის დანახვას ასე რომ მასწავლე.

ჩემი ქობულეთი

ჩემი დედულეთი, ჩემი ქობულეთი,
ჩემი წინაპრების ძვლებთა აკვანია,
შავი ზღვისპირეთი, ფიჭვნარით ქებული,
ჩემი ოცნების ტურფა ქალაქია.
ჩემი ქობულეთი! ჩემი სიამაყე
ჯვარი გადვისახე ჩოლოქ მიღწეულმა,
მასთან შეხვედრით ძლიერ გავიხარე,
ხიბლი რომ შემძინა ეშხმა მისეულმა.

ქობულეთი
www.adjaraps.wordpress.com
E-mail:adjaraps@mail.ru

მთ. რედაქტორი ჯემალ მეგრელიძე
დამფუძნებელი შპს „გაზეთი აჭარა P.S.“
რეგისტრაციის № 03-4-111

მის: ქ. ქობულეთი, თავისუფლების ქ.№13,
ტელ: 26 24 04;
8 790 96 24 04

სარედაქციო კოლეგია:
ეთერ ჩხაიძე, ლია გრძელიძე, გული ჯიჯავაძე, მარინა შავიშვილი, ნინო მეგრელიძე, სულხან მესხიძე.

გაზეთი მუშაობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის მიერ შეუკვეთავი პუბლიკაციისათვის ჰონორარი არ გაიცემა. R ნიშნით აღნიშნული მასალები სარეკლამოა. B ნიშნით აღნიშნული სარეკლამო მასალა უფასოა!

ბეჭდვა
შპს „პოლიგრაფ - 2010“-ში,
ქობ: ქ. ბათუმი,
აუშაკინის ქ.№162